

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის 1 მარტის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის
სხდომის

ოქმი N1

ქ. ახმეტა

3 ივლისი 2023წელი

2023 წლის 3 ივლისს 12 საათზე ჩატარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ალექსი ფიცხელაური- ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი - „სამუშაო ჯგუფის“ თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები: ზურა ფილაშვილი- მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე, ვანო ნასყიდაშვილი მერის მოადგილე, მარინა მაისურაძე- მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, მარიამი სააკაძე- მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი - მუდმივი წარმომადგენელი, თინათინ შათირიშვილი- მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის უფროსი - მუდმივი წარმომადგენელი, ოლია ხოხობაშვილი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - მუდმივი წარმომადგენელი. ნინო იდიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ჯანდაცვის ბავშვის უფლებათა დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი. ბადრი ფილაშვილი- მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ დეკანოზიშვილი- ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების შერჩევა განსაზღვრა. (მომხსენებელი მ. მაისურაძე)

მოისმინეს:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მარინა მაისურაძის მოხსენება, რომელმაც გააცნო ჯგუფის წევრებს აიპიებისა და მინიციპალიტეტის სამსახურების მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტები. მან განაცხადა რომ, საბოლოო სახის მიღებამდე მასში შესაძლებელია გარკვეულია შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება და საერთო აზრის შეჯერება გარკვეულ საკითხებში.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის მერმა ალექსი ფიცხელაურმა, რომელმაც საინტერესო წინადადებები შესთავაზა აიპიებს და სამსახურებს. დაავალა მათ მუშაობის პროცესში გაეთვალისწინებინათ მოქალაქეთა მოთხოვნები. ყურადღება გაემახვილებინათ მოქალაქეთა ჩართულობაზე საბიუჯეტო პროცესებში.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ აიპიების ხელმძღვანელები და სამსახურების უფროსები.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დადგინდა:

1. 2023 წლის 30 ივლისამდე შესაბამისმა სამსახურებმა და აიპიებმა მოახდინონ სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩული პრიორიტეტების პროგრამულად დამუშავება.
2. არასამწარმოო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირებმა და შესაბამისმა სამსახურებმა გააგრძელონ შიდა საბიუჯეტო კალენდრის სრული დაცვით ყველა იმ სამუშაოს ჩატარება, რომელიც საჭიროა საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ

ალექსი ფიცხელაურმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელისმძღვანელით:

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

/ალექსი ფიცხელაური/

სამუშაო ჯგუფის წევრები:

/ზურაბი ფილაშვილი/

/ვანო ნასყიდაშვილი/

/მარინა მაისურაძე/

/მარიამი სააკაძე/

/ოლია ხოხობაშვილი/

/ნინო იდიძე/

/ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/

